
რწყილი
571 40-30-40
599 88-85-75
GIT-555



რესტორანი
"წისქვილი"
250M
კერძო სასაფლაო
571 40-30-40
599 88-85-75
წისქვილი
GI T-555
LEO




რესტორანი
„წისქვილი"
250м
ქუჩა
სასაფლაო
571 40-30-40
599 88-85-75
500 მ.
წისქვილი
Rush

RUSH
DA

RUSH
DA
Babylon
GQQ-808



საქართველოს რესპუბლიკა

ქ. თბილისის მერია

სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

სამსახურის უფროსი

/ა. ბოჭოიძე/

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ.-ში (თამარაშვილის ქ. I შესახვევში)სვანიძის ქ. №19-ში მდებარე 705კვ.მ. მიწის ნაკვეთის კორექტირებული

გ ე გ მ ა

(საფუძველი:

სიტუაციური სქემა

M. 1:20000



მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადების და საინვესტიციო განმოფილება		
განყოფილების უფროსი		თ. ჯაფარიძე
მთავარი სპეციალისტი		
მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ქალაქმშენებლობითი პირობების პარამეტრები		



შენიშვნა: მიწისქვეშა კომუნიკაციები დატანილია არქივის მასალების გამოყენებით

ხელშეკრულება: №3902	ფართობი: 705კვ.მ.	დამკვეთი: გურამ ელიზბარაშვილი	მისამართი: თამარაშვილის ქ. I შეს. (ნაკ. №9/2)

პირობითი აღნიშვნები

ქს საცხ. სახლი	ფარდული	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.	წ წყალგაყვანილობა
ას არასაცხ. სახლი	მშენებარე შენობა	აღრილობ. სისტემის სამუშაო კოორდ.	კ კანალიზაცია
ხის ღობე	ბენზოგასამართი	რკინიგზა	სნ სანიაღვრე
ღობე	ფსატე		კშ კავშირგაბმულობა
ქვის კედელი	რეზერვუარი		გაზი GAS
კედელი	გარე განათება		ელ. ქსელები
ელ. გადამცემი ხაზი	სამეთვალყურეო ჭები		გათბობა
ტრანსფორმატორო ჯიხური			დრენაჟი
ხეები			

შპს „პრივატსერვისი“		
დირექტორი		ვ. ცუცქირიძე
კომპიუტერული დამუშავება		მ. ბაკურაძე
შემსრულებელი		კ. შეყილაძე
მ. 1:500		06.2011

მარჯანიშვილის ქ. №9; ფაქსი 95-74-13; ტელ.: 94-09-65

-I სართულის გეგმა



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:			2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი				50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე				სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე				მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი				რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა			ფ.№	ფ.ტ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელია დაინტერესებული პირი						

I სართულის გეგმა



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:			2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიზმიაშვილი				50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე				სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე				მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიზმიაშვილი				რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა			ფ.№	ფ.რ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი						

II სართულის გეგმა



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:			2010 | მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი		შეკვეთილი	50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე		[illegible]	სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე		[illegible]	მ/პ
	შემოწმება	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა			ფ.№ | ფ.რ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი					

სახურავის გეგმა



შპს არტ-L	დაინტერესებული პირი:			2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი				50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე				სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე				მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი				რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა			ფ.№	ფ.რ	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი						

ჭრილი 1-1



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი	[illegible]		50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე	ქ.თბილისი		მ/პ
	შემოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-საამზომველო ფირმა		მ.№	მ.ტ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი					

ფასადი 6-1



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:			2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი				50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე				სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე		ქ.თბილისი		მ/3
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი				რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-საამზომველო ფირმა			ფ.№	ფ.რ	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელია დაინტერესებული პირი						

ფასადი 1-6



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი			50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე			მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა		ფ.№	ფ.რ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი					

GEORGIA. "ART L" 204488580

ფასადი ა-დ



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი			50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე			მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-სამშენებლო ფირმა		ფ.№	ფ.რ.	01.09.2014

ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი

GEORGIA. "ART L" 204488580



შ.პ.ს არტ-L	დაინტერესებული პირი:		2010	მ. 1:100	დაკვეთა
	დირექტორი	თ. ხიმშიაშვილი			50/07-2010
	არქიტექტორი	ა. საბინაძე			სტადია
	დამუშავება	ა. საბინაძე		ქ.თბილისი	მ/პ
	შეამოწმა	თ. ხიმშიაშვილი			რიცხვი
ტელ. 574-720-720	საპროექტო-საამზომველო ფირმა		შ.№	შ.ტ.	01.09.2014
ნახაზის ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი					



ფორმატი	დაკვეთა №	პროექტის №	ფაილის სახელი
A-3			gegmebi. dwg

პირობითი აღნიშვნები

წითელი ხაზები

დროებითი ღობე

დროებითი ავტოჯისპარი

შენიშვნები

1. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება დემონტაჟისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან;
3. ფურცლის პროექტირებით ავტომაბურად უქმდება წინა პარიანი;

ექსპლიკაცია

1) სადემონტაჟო შენობა №1/1 ,
2) სადემონტაჟო შენობა №2
3) სადემონტაჟო გადასასვლელი ხიდი №3
4)სადარაჯო-საკონტროლო ჯიხური
5)საყოფაცხოვრებო სათავსი-საბრარაბო
6) სამშენებლო ავტომტრანსპორტი

სიტუაციური სქემა

დამკვეთი
:შპს. "სპრინგ-რესტორანი ბელელი"

პროექტი
ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №1-ში ს/კ. 01.14.07.009.002 ტერიტორიაზე არსებული №2 შენობის; ს/კ. 01.14.07.009.004 ტერიტორიაზე არსებული №1/1 შენობის და მიმდებარედ ლითონის გადახურვა-კარკასის დემონტაჟი

მისამართი
თამარაშვილის №1

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ჯ. აბაშეული	
დაამუშავა	ნ. ქარქაშაძე	

დემონტაჟის ორგანიზაციის ნაწილი

მასშტაბი	1:500	თარიღი	22/09/2014

ნახაზი: სადემონტაჟო გეგმგმა

პორექტირება

№	პორექტ.	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

სტადია	ინდექსი	ფურცლები
მუშა პროექტი	მოპ-1	1

შპს. ” სპრინგი-რესტორანი ბეღელი ”

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №1-ში: ს/კ. 01.14.07.009.002 ტერიტორიაზე არსებული №2 შენობის; ს/კ. 01.14.07.009.004 ტერიტორიაზე არსებული №1/1 შენობის და მიმდებარედ ლითონის გადახურვა-კარკასის დემონტაჟი

დირექტორი: ჯ. ამაშუკელი

შეადგინა:  ნ. ქარქაშაძე

2014წ.

1. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტების დახასიათება

1.1. სადემონტაჟო ობიექტის ქვეშ გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში თამარაშვილის ქ. №1ში (ნაკვ. ს/კ. 01.14.07.009.002 ტერიტორიაზე არსებული №2 და ს/კ. 01.14.07.009.004 ტერიტორიაზე არსებული №1/1); სადემონტაჟო შენობები განთავსებულია ერთი პირის საკუთხრებაზე სხვადასხვა წითელ ხაზებში მოქცეულ ტერიტორიაზე. ამჟამად ნაკვეთები დაკავებულია ერთი №2 ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებით მოწყობილი (აგურითა და ბლოკით შევსებული) ორსართულიანი სადემონტაჟო და 1 ერთსართულიანი 1/1 მცირე ზომის სადემონტაჟო შენობებით. ასევე მიმდებარედ არსებული შენობიდან გზის მოპირდაპირე შენობაზე (ასევე მესაკუთრის შენობაზე) გადადებულია ლითონის გადახურვა- კარკასები რომელიც უნდა მოიხსნას და გატანილ იქნას ტერიტორიიდან.

1.2. პროექტი ითვალისწინებს წითელ ხაზებში მოქცეული №2 და №1/1 შენობებისა და მათ მიმდებარედ ქუჩაზე გადადებული ლითონის გადახურვა-კარკასების სრულ დემონტაჟს ; ტერიტორიის დასუფთავებას და ტერიტორიის მომზადებას ახალი მშენებლობისათვის.

1.3. ტერიტორია ხასიათდება მატრივი-სწორი რელიეფით.

1.4 უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატურ-სეისმური ფაქტორებით:

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-0,48კპა;

თოვლის საფარის წონა- 0,59კპა;

ზამთრის საანგარიშო ტემპერატურა- მინუს 2^0C,

1.5. ტერიტორიას დემონტაჟის დაწყებამდე უნდა შემოევლოს დროებითი ხის ღობე (2მ სიმაღლის) დიდი ხის ჭიშკრით, ასევე დაცული უნდა იყოს ღონისძიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს და ჩამოეფაროს ფარდა (სასურველია სარეკლამო ან საინფორმაციო ბანერით).

1.6. *ობოექტის ტექნიკურ-ეკონომიკური*

მაჩვენებლები შემდეგია:

– *ნაკვეთის ფართი: -- 705+269=974მ²*

შენობა №1/1 (ს.კ. 01.14.07.009.004)+ *შენობა № 2 (ს.კ.* 01.14.07.009.002)

- სადემონტაჟო შენობის სრული ფართი —154+400+400=954 მ²

– სადემონტაჟო-გასასუფთავებელი შენობის მოცულობა —3228მ³

– სადემონტაჟო გადახურვა-ლითონის კარკასი-8გრძ.მ.

1.7. ტერიტორიაზე საინჟინრო კომუნიკაციების –წყალსადენი, კანალიზაციის, სატელეფონო და დაბალი ძაბვის ელექტროკაბელების ქსელებია. დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით.

1.8. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. სადემონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2. დემონტაჟისა და გასუფთავების ხანგრძლივობის დადგენა

2.1. დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ და წ 1.04.03-83 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი“, აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, დამკვეთთან და დემონტაჟის განმხორციელებელ ფირმასთან შეთანხმებით, ასევე დაფინანსების მიხედვით დადგინდა დემონტაჟის გეგმიური ხანგრძლივობა **3 თვის** პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელს უწყობს რაიონის რბილი და ზომიერი კლიმატური პირობებიც.

2.2. კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდებული ხასიათისაა. მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და დემონტაჟის პროცესში აღმოჩენილი შესაძლებლობებით.

2.3. ობიექტის დემონტაჟის დასრულება გეგმიურ ვადებში სავსებით შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის რაიონის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციის მძლავრმა საწარმოო ბაზამ.

3. დემონტაჟი-გასუფთავების განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი

3.1. კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანამიმდევრობის განსაზღვრა.

3.2. დემონტაჟის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა 3 თვეა, სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. (იხ. მოპ-2)

3.3 ბოლო თვეში განხორციელდება დემონტირებული მასალის საბოლოო გატანა სამშენებლო მოედნიდან; ობიექტისა და ტერიტორიის გასუფთავება-მომზადება ახალი მშენებლობისათვის.

4. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზური გეგმები და პროფილები;
- აზომვითი ნახაზები.
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

4.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სადემონტაჟო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4.5. **სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის მიერ სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.**

4.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

4.7. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

5. მითითებები სადემონტაჟო-გასასუფთავებელ სამუშაოებზე.

5.1. დემონტაჟის ნებართვების აღების შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება (უსაფრთხოების წესების სრული დაცვით თანახმად საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 №62 დაგენილებით;)" და ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

5.2. განთავსდება საინფორმაციო ბანერი, ჩაიჭრება შენობების არსებული საინჟინრო ქსელების საქალაქო ქსელებთან მიერთებები, ხის შეფიქცრით (შეღებილი) მოეწყობა დროებითი ღობე (ტროტუარის დამცავი გადახურვით.) მთლიან ტერიტორიას ჩამოეფარება ფარდა ბადე სპეციალურად მოწყობილ ხარაჩოზე, რათა არ მოხდეს მტვერის გაბნევა მიმდებარე საცხოვრებელ ზონაში. ამასთან გაწმენდითი სამუშაოების პარალელურად ყველა სამუშაო უნდა დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით. უნდა მოხდეს არსებული შენობის დაცლა, დაგვა-გასუფთავება და გადაყრა. დროებით სათავსებად (მუშების გარდერობი, საპრარაბო..) გამოიყოფა სივრცე მიმდებარე შენობაში Iსართულზე (რომელიც ასევე მფლობელის საკუთრებაა) ან მოეწყობა დროებითი თავშესაფარი მიმდებარე ტერიტორიაზე წითელი ხაზების ფარგლებში შიდა ეზოში.

5.3. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით /და სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (ხის დროებითი დამჭერი კოჭებით და შეფიცვრებით), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, ნაგვის გატანა სპეციალური ავტოამწეების და ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს

შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. მოსაზღვრე შენობასთან სადემონტაჟო სამუშაოები უნდა იწარმოოს ხელით ან ხელის მექანიზმების გამოყენებით.

5.4. მოსამზადებელი სამუშაოების (ზემოთ ჩამოთვლილი) შესრულების შემდეგ დემონტაჟი მოხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

I. თავდაპირველად მოხდება ორივე შენობებიდან კარ-ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოხსნა. შემდეგ პირველად განხორციელდება №1/1 ერთასართულიანი ყოფილი ე.წ. ელ. ატეესის შენობის სრული დემონტაჟი და გატანა ტერიტორიიდან. (1. ბრტყელი სახურავის (ქანობიანი ფენილებით და ჰიდროიზოლაციით; 2. კედლები+კარკასი; 3ცოკოლი და საძირკვლები)

II. როდესაც მოსუფთავდება წითელ ხაზებში მოქცეული ტერიტორია №1/1 შენობის ადგილზე- შემდეგ უკვე უნდა განხორციელდეს თამარაშვილის ქუჩაზე ლითონის გადახურვა-კარკასის სრული დემონტაჟი. ერთი ამწე უნდა განთავსდეს №1/1 შენობის ადგილზე რომელიც დაიჭერს თითოეულ ლითონის კარკას- მალს ტროსების და დამჭერების საშუალებით და ჩაჭრის შემდეგ გადმოიტანს და განათავსებს ა.მ. და გატანილ იქნება ტერიტორიიდან. ლითონის გადახურვა კარკასის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ძალიან მოკლე ვადებში და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. სასურველია დემონტაჟი განხორციელდეს ღამის პერიოდში და მის ქვეშ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე შეჩერდეს დემონტაჟის პროცესში მოზრაობა როგორც ფეხით მოსიარულეების ასევე მანქანების.

III ლითონის კარკასის დემონტაჟის შემდეგ განხორციელდება მშენებარე ორსართულიანი შენობის სრული დემონტაჟი შემდეგი თანმიმდევრობით: დემონტირდება ბრტყელი სახურავი; შემდეგ დაიწყება თითოეული ანაკრები კონსტრუქციის დემონტაჟი ზემოდან ქვევით. ანაკრები ფილები დემონტირდება ამწე მექანიზმების გამოყენებით. ამწე მექანიზმებით უნდა მოხდეს თითოეული ანაკრები კონსტრუქციის დაჭერა სპეციალური ე.წ. ტროსებით ან თოკებით და შემდეგ უნდა ჩაიჭრას ანაკრები კონსტრუქცია, მოხსნილი კონსტრუქცია ისევ ამწის გამოყენებით უნდა დაწყობილ იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე ან მანქანა მექანიზმებზე. პირველ სართულზე აგურით შევსებული კედლების დემონტაჟი განხორციელდება ხელით.

მოსაზღვრე შენობის კედელთან სამუშაოები უნდა იწარმოოს ხელით ან ხელის მექანიზმებით და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, რათა არ მოხდეს მიმდებარე შენობის მცირედ დაზიანებაც კი.

დემონტაჟის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს ყველა კონსტრუქციისა და ზედმეტი ნაგვის გატანა ობიექტიდან და ტერიტორია უნდა მოსუფთავდეს.

დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ინჟინერ-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. ატეგორიულად უნდა აიკრძალოს მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ.

5.5. სამშენებლო ნაგვის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

5.6. დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

5.7. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალ
	2	3	4
1.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ნაგვის გასაზიდად ტერიტორიიდან	სხვადასხვა	4
2	საავტომობილო ავტოამწე (სხვადასხვა მარკის)	ცალი	2
3	სანგრევი ჩაქუჩები	ცალი	1
3	ლითონის ელექტრომჭრელები (“ბარგალკები” “პერფორატორები”)	კომპ	10
4	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1

5	**სადემონტაჟო ინსტრუმენტები**	**კომპ**	**30**
6	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი და სხვა	კომპ	10
7	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	20

6.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 №62 დაგენილებით;)" და „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2. ზედმეტი ნაგვის და გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.3. მოხსნილი ღირებული დეტალების, კონსტრუქციების და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

7.4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.5. სადემონტაჟო მოწყობილებათა ჩართვა (საწეველები, სხვადასხვა ელექტრო აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

7.6. ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში

დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

7.7. სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

8. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

8.2. დემონტაჟის სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

8.3. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.4.. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

8.4.. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

9. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

9.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".

9.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები

საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე".

9.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი

სახრეთის მთიანი რაიონებისათვის .

9.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

9.5. სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე".

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №1-ში ს/კ. 01.14.07.009.002 ტერიტორიაზე არსებული №2 შენობის; ს/კ. 01.14.07.009.004 ტერიტორიაზე არსებული №1/1 შენობის და მიმდებარედ ლითონის გადახურვა-კარკასის დემონტაჟი

დემონტაჟის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

№	ობიექტისა და სამუშაოების დასახელება	დემონტაჟი კვირეების მიხედვით	თვეების რაოდენობა დემონტაჟის პერიოდების მიხედვით											
			I თვე				II თვე				III თვე			
			I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	მოსამზადებელი სამუშაოები (დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა) ღობის მოწყობა; არსებული ქსელების ჩაჭრა	1												
2	ს/კ. 01.14.07.009.004 ტერიტორიაზე არსებული №1/1 შენობის დემონტაჟი და გატანა სადემონტაჟო მოედნიდან	3												
3	თამარაშვილის ქუჩაზე ლითონის კარკასის დემონტაჟი და გატანა სადემონტაჟო მოედნიდან	1												
4	ს/კ. 01.14.07.009.002 ტერიტორიაზე არსებული №2 შენობის დემონტაჟი და გატანა სადემონტაჟო მოედნიდან	6												
5	მიმდებარედ ტერიტორიის მოსუფთავება და ობიექტის ექსპლუატ. ჩაბარების წინა სამუშაოები	1												

1 შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის ხანგრძლივობა მიღებულია 3 თვის პერიოდში. მოპ-2

2. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.